საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990172792003420

№19/4049

16 / ნოემბერი / 2020 წ.

შპს „კაი გრუპი“-ს (ს/კ 204566585) დირექტორს
ქალბატონ ირმა ბერიანიძეს პ/ნ 01010013578
მის: ქ. თბილისი, ერეკლე მეორეს ქ. N11
ელ. ფოსტა: orjonikidzetea@yahoo.com

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, ქ. თბილისში, ერეკლე მეორის ქ.N11-ში (ს/კ 01.18.03.045.012) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მიმდინარე უნებართვო სამუშაოებთან დაკავშირებით. თქვენს მიერ, განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და შესრულებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე, გეძლევათ ეს წერილობითი გაფრთხილება, რომლის საფუძველზეც ვალდებული ხართ:

1. უზრუნველყოთ დაუყოვნებლივ შეჩერდეს უნებართვო სამუშაოები;
2. სამი თვის ვადაში უზრუნველყოთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვება;
3. მიღებული ნებართვის საფუძველზე უზრუნველყოთ ქ. თბილისში, ერეკლე მეორის ქ.N11-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა;
4. ნებართვის მოპოვების შემდგომ ათი დღის ვადაში უზრუნველყოთ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა, კერძოდ განაცხადი და სანებართვო მოწმობა;

წინამდებარე გაფრთხილების შეუსრულებლობა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის ან ამხანაგობის დაჯარიმებას 10 000 ლარით, ამ მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერი მოსარგებლეს) ყოველ 6 თვეში ეკისრება წინა ჯარიმით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა.

გაფრთხილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქ. N4) ერთი თვის ვადაში.

კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ტყეშელაშვილი